



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არეშიძე ვახტანგ მოსეს ძე

არეშიძე ვახტანგ მოსეს ძე (19. III. 1909, თბილისი, – 27. VI. 1985, იქვე), მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1979).

1929 დაამთავრა თბილ. პროლეტკულტის დრამ. სტუდია. იმავე წლიდან მუშაობდა თელავის, ჭიათურისა და სოხუმის თეატრებში მსახიობად. 1936 – 85 იყო თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის წამყვანი მსახიობი. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, უშუალოდ. ერთნაირი წარმატებით ასახიერებდა სახასიათო და დრამ. როლებს: სიმონ გვერდნითელი (ვ. კირშონის „პური“), კასიო (უ. შექსპირის „ოთელი“), სკაპენი (მოლიერის „სკაპენის ოინები“), ბაში-აჩუკი (ა. კაჭკაჭიშვილის „ბაში-აჩუკი“ ა. წერეთლის მიხედვით), კომბლე, ნიკო (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, „პატარა მეომრები“), რომეო (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), კიკვიძე (ვ. დარასელის „კიკვიძე“), ადვოკატი პატლენი (ფრანგ. ხალხ. პიესა „ადვოკატი პატლენი“) და სხვ. მისი გმირები ყოველთვის მგზნებარე, ტემპერამენტიანი, სიცოცხლით აღსავსე და ძლიერი ადამიანები იყვნენ.

შ. ცუცქირიძე
